ხელშეკრულება № 32 - 2017
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10 ივლისი 2017 წ.

ერთის მხრივ **სსიპ ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო"** შემდგომში **„შემსყიდველი"**, წარმოდგენილი - სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ დიდიძის სახით, და მეორეს მხრივ, **სს „ელიტ ელექტრონიქსი"** შემდგომში „მიმწოდებელი" წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების და პროექტების დეპარტამენტის დირექტორის თამარ ბიჭიაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, I პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს" მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანი - 1 ცალი საოფისე წყლის დისპენსერი (BOSCH – RDW1570) (**CPV კოდით 42968000 დისპენსერები).**

2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს ***569.99*** *(ხუთასსამოცდაცხრა ლარი და 99 თეთრი)* ***ლარს*** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება ხელშეკრულებაზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

4.2 გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრება: **მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ორი წელი.**

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა- ლარი.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

6.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება შესაბმისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან (დოკუმენტაცია წარდგენილად ჩაითვლება მხოლოდ შემსყიდველის მიერ დადასტურების შემდეგ) 10 საბანკო დღეში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდეგ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება,უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

10.2 თანხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს და შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

11.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების განყოფილების კოორდინატორი ზვიად გუბელიძე, მისი ფუნქციებია შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

11.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყონ მიწოდებული საქონლის მიღება.

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა ხელშეკრულებაზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

„შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებთან ან/და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებები შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არა ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სსსკ-ის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 აგვისტომდე.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“
ს/კ 204429494 მისამართი: 0104, საქართველო, ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №2. სახელმწიფო ხაზინა - სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003 ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი – TRESGE22.

_____ ნ. დიდიძე

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

„მიმწოდებელი”
სს „ელიტ ელექტრონიქსი“
ს/კ 202268928
მისამართი: თბილისი, პ.ქავთარაძის #3.
საბანკო რეკვიზიტები სს „თი ბი სი”, ბანკის კოდი: TBCBGE22,
ა/ა GE69TB0600000120467205

_____ თ. ბიჭიაშვილი

კორპორატიული გაყიდვებისა და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი